92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №9 (7132) 1 მაისი, 2025 წელი

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

40 დღის განმავლობაში—იესო ქრისტეს აღდგომიდან ამაღლების ჩათვლით, ამ სიტყვებით ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

ქრისტე აღდგა!

აღდგეს ღმერთი, მიმოიფანტონ მისი მტრები და მისი მოძულენი ილტვოდნენ პირისგან მისისა; და როგორც ქრება კვამლი, - განქარდნენ ... მართლები კი განიხარებენ და იზეიმებენ ღმერთის წინაშე და სიხარულით დატკბებიან (ფს. 67. 2-3).

როგორი დიდი ნუგეშია წმ. დავით მეფის ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებში! როგორი იმედითა და სულიერი სიხარულით გადაეცემოდა თაობიდან თაობას ბოროტებაზე გამარჯვების ეს საგალობელი. დიადი ჟამის აღსრულებას კი უკვე თითქმის 2000 წელია გამორჩეულად აღნიშნავს კაცობრიობა; ჩვენც დღეს ამ ზეიმის მონაწილენი ვართ.

კიდევ ერთხელ მინდა მოკლედ შეგახსენოთ, თუ როგორია გზა სამოთხიდან, მიწიერი ყოფის გავლით, ცათა სასუფევლამდე.

წმინდა წერილიდან ვიცით, რომ ღმერთმა ხილულ სამყაროში თავის ხატად მხოლოდ ადამიანი შექმნა და დაადგინა სხვა ქმნილებათა განმგებლად; მისცა თავისუფლება და ედემის ბაღის პატრონობა დაავალა; იგი უნდა ყოფილიყო ამ ბაღის და ცნობადისა და სიცოცხლის ხეთა ბრძენი მცველი; დანარჩენი ქმნილებები კი მას უნდა დამორჩილებოდნენ. ამით შემოქმედმა განსაკუთრებული პატივი მიაგო ადამიანს და არჩევანი ბოროტებასა და სიკეთეს, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მის ნებას მიანდო.

ჩვენს პირველმშობელთა მიმართ ამგვარი ამაღლებული დამოკიდებულების გამო შურით აღძრულმა ბოროტმა სულმა აცდუნა ისინი და განაშორა ღვთის დიდებას; ქვეყნიერება კი დარჩა უფლისგან დადგენილი მზრუნველის გარეშე.

ბოროტი ძალა მხოლოდ ადამისა და ევას შეცდენით არ დაკმაყოფილებულა; ათასგვარი ხერხით იგი დღემდე ცდილობს, თავისკენ გადაიბიროს კაცობრიობა და საბოლოოდ აღხოცოს მასში ღვთის ხატება.

მაგრამ ადამიანი ცოდვამ და სიკვდილმა ბოლომდე მაინც ვერ დასცა. ყოვლადძლიერი, ცოცხალი, კურთხეული, უხილავი ღმერთის (როგორც ძველ

☞7

ეს ჩვენი ისტორიაა

გოგნი—სალოცავების სოფელი

დაპირებისამებრ, ტყიბული-თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე გიორგის (შალამბერიძე) ლოცვა-კურთხევით, ავტორთა ჯგუფი: იღუმენი ბასილ კვინიკაძე, ბერდიაკონი მაკარი (ჯამასპაშვილი), იღუმენია ნატალია (ბოგვერაძე), დაჩი ბარდაველიძე, გელათის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული და დავით კლდიაშვილი, რუბრიკით „ეს ჩვენი ისტორიაა“ ვიწყებთ წერილების გამოქვეყნებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის ეკლესია-მონასტრების შესახებ. გამოსაქვეყნებელ მასალებზე კონსულტაციებს დაგვთანხმდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი მერაბ კეზევაძე.

ამ რუბრიკით თხრობა სოფელ გოგნის სალოცავებით ვიწყებთ. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ბევრჯერ გვქონდა დაბეჭდილი ტექსტური და ფოტო მასალები გოგნის ცნობილ „კარუგდებელზე“ და იქვე აშენებულ ახალ ტაძარზე, ამჯერად თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ ერთ-ერთი უძველესი მონასტრის—გოგნის (უდაბნოს) მონასტრის თაობაზე.

სწორედ ბატონმა მერაბ კეზევაძემ მოგვაწოდა ვრცელი ინფორმაცია ამ უძველესი მონასტრის შესახებ, რასაც მნიშვნელოვანი შემოკლებით ვბეჭდავთ (სრულ ტექსტს შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტ სივრცეში. archive. gov.ge).

დიდი მადლობა მას ამ საინტერესო ნაშრომისათვის.

რაც შეეხება ჩვენი გაზეთის 15 აპრილის ნომერში ამავე რუბრიკით განთავსებულ წერილს (ბაჩკოვო, ბულგარეთში არსებული ქართული კერა—პეტრიწონის (XI ს) მონასტერი), მის დასასრულს მომავალ ნომრებში შემოგთავაზებთ.

დავით კლდიაშვილი

☞8

სოფელი გოგნი, ხედი გოგნის „კარუგდებლიდან“

6 მაისი—გიორგობა გილოცავთ!

ისინი საქართველოს სახელით იბრძოდნენ!

2025 წლის 9 მაისს 80 წელი სრულდება მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან

☞3

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

სააღდგომო ამანათები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 70 წელს გადაცილებულ 100-მდე მარტოხელა მოხუცს სააღდგომო ამანათები გადაეცა.

მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან ერთად, რამდენიმე ბენეფიციარს პირადად ესტუმრა, დამდეგი აღდგომის დღესასწაული მიულოცა და ამანათები გადასცა.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, ხანდაზმულ მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სოციალური პროექტები თერჯოლის მუნიციპალიტეტში საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე მუდმივად ხორციელდება და მას ორგანიზებას მერიის სოციალური სამსახური უწევს.

თერჯოლაში ქართული ენის დღე აღინიშნა

14 აპრილს, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, ქ. თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკაში თემატური ღონისძიება ჩატარდა. ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „ენა დედაა ერისა“ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველის მონაწილეობით გაიმართა.

დედა ენის დღეს მიუძღვნეს ასევე სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა ნამუშევრები, რომლებიც სკოლის საგამოფენო სივრცეში განთავსდა ,წარსდგა დამთვალიერებლის წინაშე. ნორჩმა მხატვრებმა ქართული ენის დიდოსტატთა პორტრეტები და მათი ცნობილი ციტატები აქციეს საინტერესო და საგულისხმო შედევრებად.

დედა ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაესწრო.

მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ ქართული ენის დღე მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და ჩვენი ანბანის ისტორიის და უნიკალურობის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით მომავალი თაობისთვის ქართული ენის დაცვას, პატივისცემას და გაფრთხილებას.

ღონისძიების მონაწილეებს დედა ენის დღე მიულოცეს საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ქეთევან შეყრილაძემ.

სოფელ ეწერში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია დაიწყო

უკვე დამთავრდა სოფელ ბარდუბანთან დამაკავშირებელი ახალი უბნის 1000 გრძივი მეტრის გზის მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარის დაგება.

ფინალურ სამუშაოებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

ახალი უბნის საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოები შეასრულა შპს „ჯეო როუდ ინვესტმა“. სამუშაოების ღირებულება 210527 ლარია.

ეწერში ასევე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა უკლებების საუბნო გზის სარეაბილიტაციოდ. ამჟამად იგება 1000 მეტრიანი მონაკვეთი. პროექტი გარდამავალია. შემსრულებელიც იგივე ორგანიზაციაა. ორივე პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ახლადდამკვიდრებული ტრადიცია

23 აპრილს მსოფლიომ წიგნის ჩუქების საერთაშორისო დღე აღნიშნა

ამ დღესთან დაკავშირებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ქალაქის საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკებს წიგნები უსაჩუქრა. მანუჩარ რობაქიძე ბიბლიოთეკებში საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან და მოადგილეებთან ჯემალ ისაკაძესა და ნინო ჩხიკვაძესთან ერთად იმყოფებოდა. თერჯოლის მერმა წიგნის ჩუქების მსოფლიო დღე ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და მკითხველს მიულოცა და წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შეხვედრას მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

23 აპრილი წიგნის ჩუქების საერთაშორისო დღედ 1923 წელს გამოცხადდა. 23 აპრილი ცნობილი მწერლების უილიამ შექსპირისა და მიგელ დე სერვანტესის გარდაცვალების თარიღებია. საქართველოში კი წიგნის ჩუქების ტრადიცია 2019 წლიდან დამკვიდრდა და მას შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნება.

მორიგი უფასო აქცია

16 აპრილს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოს ამბულატორიაში თვალის უფასო აქცია ჩატარდა.

საზანოსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ პენსიონერებს და მოქალაქეებს სხვადასხვა სახის გამოკვლევა ჩაუტარეს ქ.ქუთაისის ადეიშვილის კლინიკის ოფთალმოლოგებმა და ენდოკრინოლოგებმა.

სოციალური აქცია მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და მერიის სოციალური სამსახურის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტში უკვე მეორედ გაიმართა და შემდგომშიც პერმანენტულად გაგრძელდება სხვა სოფლებში.

სოციალური აქციის მიზანია, მოქალაქეებზე ზრუნვა და თანადგომა.

სოციალურ აქციას თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირებიც ადევნებდნენ თვალყურს.

„ვირჩევ პროფესიას“—რესურსცენტრის პროექტი თაობის პროფესიული ორიენტაციისათვის ☞4,5

ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მორიგი სპექტაკლი ☞6

ისინი საქართველოს სახელით იბრძოდნენ!



თერჯოლის რაიონმა მიხაკისფერი შავი ჭირის—ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად თავისი საკუთარი შვილებიდან 9 000-ზე მეტი წარგზავნა. აქედან 4 000-მდე უკან ვეღარ დაბრუნდა, მათ შორის ვერც ჭოგნარელი კაპიტანი ბუხაიძე, რომელიც გმირულად დაეცა კავკასიისათვის ბრძოლაში. მისმა გმირობამ დიდი პატრიოტული სული შთაბერა მებრძოლებს მთელი მაშინდელი საბჭოეთის მასშტაბით. მშობლიურ მიწაზე დაბრუნებულთა შორის იყო საბჭოთა კავშირის გმირი დავით ჯაბიძე. სამწუხაროდ, იგი 65 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ხაზგასასმელია, რომ თერჯოლის რაიონიდან მეორე მსოფლიო ომში 8 ოჯახიდან ოთხ-ოთხი ძმა იყო წასული. ისინი ყველა გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

აი, ვისი სახელობისაა ოთხი ძმის ქუჩა თერჯოლაში

მიშიკო, ნესტორ, გაბრიელ, ბიქტორ ვასილის-ძე ხამაშურიძეები (საზანო).
კიკა, კალისტრატე, დავით, კალენიკე ვანოს ძე გოგბერაშვილები (თუზი).
სანდრო, ვლადიმერი, ნიკოლოზი, ვანო გაიოზის ძე ლომთაძეები (ჭოგნარი).
შალვა, აკაკი, ალექსანდრე, ივლან მინაგოს ძე გაბრიჭიძეები (გოგნი).
შალვა, პარმენი, სევასტი, სერგო აფრასიონის ძე კუპატაძეები (საზანო).
ირაკლი, გრიგოლი, დავითი, შალვა ანტონის ძე გვენცაძეები (რუფოთი).
ზოსიმე, დიმიტრი, ალექსანდრე, ნიკოლოზ ივანეს ძე რობაქიძეები (ღვანკითი).
ალექსანდრე, დიმიტრი, გრიგოლი, ბიქტორ სიპიტოს ძე ბუხრაშვილები (თუზი).

გმადლობთ ძმების ხსოვნისათვის!

43 წლის წინ, ოთხი ძმა კუპატაძეების დამ, ქალბატონმა ზინა კუპატაძემ თქვა: (გაზეთი „წინსვლა“ 1982 წელი, 9 მაისი №56)

ჩემმა ძმებმა შალვა, პარმენ, სევასტი, სერგო კუპატაძეებმა თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას, ვერ იზეიმეს მტერზე გამარჯვება, ვერ ტკბებიან დღევანდელი ცხოვრებით. 36 წელმა ვერ განკურნა ძმების ტრაგიკული ბედით მიყენებული ჭრილობა, მაგრამ სულით არ დავცემულვარ, დღესაც ვშრომობ, ომი არ უნდა განმეორდეს, ასეთია ნება მილიონობით ადამიანის.

რაიონის ხელმძღვანელობამ, ხალხმა ძეგლი აუგო თითო ოჯახიდან ოთხ-ოთხი დაღუპული ძმის ნათელ ხსოვნას. ეს ძეგლი ჩემი ძმების უკვდავსაყოფადაც დგას.

სამარადისო დიდება მათ!

დავით ჯაბიძე

დაბადების თარიღი : 23 იანვარი, 1917 წელი, სოფელი ჩხარი, თერჯოლის რაიონი.

გარდაიცვალა: 1982 წლის 15 დეკემბერს (65 წლის ასაკში)

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1955 წელს.

1933-1936 წლებში მუშაობდა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში. 1936 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ ფაკულტეტზე, პარალელურად სწავლობდა თბილისის აეროკლუბში, ხოლო 1938-1940 წწ. სტალინგრადის საავიაციო სასწავლებელში. სსრკ-ფინეთის ომის (1939-1940) მონაწილე. დიდი სამამულო ომის (1941-1945) დროს საჰაერო ესკადრილიის მეთაური სხვადასხვა ფრონტზე. ჩაატარა 100-ზე მეტი საჰაერო ბრძოლა, პირადად ჩამოაგდო მტრის 27 თვითმფრინავი. ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, ზოგიერთი თარგმნილია რუსულ, ჩეხურ და გერმანულ ენებზე. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. კაპიტანი, პროფესორი (1982).

ლეგენდარულმა მფრინავმა ომის შემდგომ დაიცვა სამეცნიერო ხარისხი, გახდა პროფესორი. მას უამრავი მეგობარი ჰყავდა ქართულ ინტელიგენციაში.

სურათი, რომელსაც აქვე გთავაზობთ სწორედ ამ ფაქტს ადასტურებს.

მასზე დავით ჯაბიძესთან ერთად აღბეჭდილი არიან: ნათელა ვასაძე, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, კაპიტან ბუხაიძეზე, ცნობილი ლექსის ავტორი ირაკლი აბაშიძე და პოეტი მორის ფოცხიშვილი

კაპიტანი ბუხაიძე

მიხეილ ისიდორეს ძე ბუხაიძე დაიბადა 1905 წლის 26 აგვისტოს, სოფ. ჭოგნარში, გარდაიცვალა 1942 წლის 26 აგვისტოს, სოფ. პრავოურვანსკში, (ყაბარდო-ბალყარეთი—რუსეთი) — ქართველი სამხედრო პირი, საბჭოთა არმიის კაპიტანი.

მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში, მეთაურობდა ბატალიონს კავკასიისათვის ბრძოლაში. 1942 წლის აგვისტოში თანამებრძოლთა გასამხნევებლად საბრძოლო დროშით შეტევაზე მოწოდებით წინ წასული სასიკვდილოდ დაიჭრა სოფ. პრავოურვანსკის მიდამოებში (მაისკის რაიონი, ყაბარდო-ბალყარეთი). სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. პოეტმა ირაკლი აბაშიძემ მას მიუძღვნა ცნობილი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სიმღერა (კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი). ბუხაიძის სახელი მინიჭებული აქვს ქუჩას თბილისში.

ირაკლი აბაშიძის ეს ლექსი, რომელიც პოეტმა 1942 წელს დაწერა, სასკოლო სახელმძღვანელოში იყო შეტანილი. თაობებს ჰქონდათ დაზეპირებული. მღეროდნენ კიდეც.

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და
ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ვჟლეტდი სისხლის
მსმელებს;
არ ვუშვებდი დარიალთან
გააფთრებულ ყვითელ
გველებს...
მე საფლავში არა ვწევარ, —
აქ დარაჯად დამაყენეს.
და ვუბარებ ყოველ ქართველს:
მისი წმინდა ვალი არი —
მოკვდეს, მაგრამ მკერდით
შეჰკრას
დერბენტი და დარიალი.

„ვირჩევ პროფესიას“—რესურსცენტრის პროექტი თაობის პროფესიული ორიენტაციისათვის

კერძო სკოლა „მზეკაბანი“

ინტეგრირებული ღია გაკვეთილი კერძო სკოლა „მზეკაბანში“ (ხარისხის მართვის მენეჯერი აზა მემანიშვილი) ჩატარდა სპორტსა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში (მასწავლებლები: ზურა ბარბაქაძე, ბადრი რობაქიძე) V კლასში, თემაზე: ძველი ქართული სპორტული თამაშობები—ცხენოსნობა, ბერიკაობა, ლელო ბურთი. გაკვეთილის მიზანი: ძველი ქართული სპორტული თამაშების პოპულარიზაცია და პრაქტიკაში დანერგვა.

გაკვეთილის მსვლელობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან: ქვეყნის სხვადასხვა მხარისათვის დამახასიათებელი მეურნეობის დარგების ერთმანეთთან შედარება საქართველოს მოსახლეობის ყოველდღიური ყოფისა და ეთნოგრაფიული ტრადიციების მრავალფეროვნების გასააზრებლად. ლეგენდების, მითების, თქმულებების, ისტორიული მოვლენების, პიროვნების მოღვაწეობის ლოკალურ გარემოსთან და ქრონოლოგიასთან დაკავშირება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გასაცნობიერებლად და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოსავლენად; საქართველოს ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების დახასიათება და მათ მიმართ პოზიტიური განწყობის ჩამოსაყალიბებლად. გამაჯანსაღებელ აქტივობებში აქტიური მონაწილეობა, ორგანიზაციის და თვითკონტროლის გამომუშავებისა და განვითარების მიზნით, ფიზიკურ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართულობით ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა-გამოყენება.

გაკვეთილი ასე წარიმართა—მასწავლებლები მიესალმნენ მოსწავლეებს და დამსწრეთ, განწყობის შექმნის მიზნით აჩვენეს ვიდეო—ჩემი პროფესია, სადაც მოსწავლეებმა ისაუბრეს ვის რა პროფესია მოსწონდა და რატომ. გაკვეთილის თემის პრეზენტაციისათვის მოსწავლეები დაიყო სამ გუნდად. პირველ გუნდს შეხვდა ცხენოსნობა, მეორეს ბერიკაობა, მესამეს ლელო ბურთი. სამუშაოდ მიეცათ 15 წუთი, სამივე გუნდმა პრეზენტაცია სრულყოფილად წარმოადგინა, შემდეგ შეასრულეს ინდივიდუალური სამუშაო—ჩემი საყვარელი სპორტის სახეობა, რომლის შესასრულებლად დაწერეს ან დახატეს საყვარელი სპორტის სახეობა და ინდივიდუალურად წარადგინეს ნაშრომი, ამასთან გააკეთეს ანალიზი თუ რატომ უყვარდათ ეს სახეობა, შემდეგ დაურიგდათ კროსვორდი „ჩვენი საქართველო“. კროსვორდი შესავსებად დაურიგდათ დამსწრეებსაც. კროსვორდი სამივე გუნდმა და დამსწრეებმა დადგენილ დროში 10 წუთში შეავსეს და ქალბატონ აზას სიგელებიც დაიმსახურეს (მე ყველა კითხვა ვერ შევავსე და იძულებული გავხდი სიგელზე უარი მეთქვა, თუმცა სტუმარ-თმოყვარეობის ვალის მოხდის მიზნით მაძლევდნენ).

მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად განიხილა თითოეული აქტივობა და შეაფასა. ინდივიდუალური პრეზენტაცია შეფასდა 7 საკითხში (პასუხობს თემას, ფლობს აუდიტორიას, საუბრობს გამართული ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას, იყენებს განსხვავებულ წყაროებს, ასახელებს მოვლენებს და ფაქტებს, იყენებს თვალსაჩინოებას, იცავს დროის ლიმიტს). ჯგუფური მუშაობა შეფასდა ხუთ საკითხში (ჯგუფის მიერ სამუშაო მიზნის გააზრება, სამუშაოს ორგანიზება, ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი, დროის ლიმიტი, თანამშრომლობა), ორივე შემთხვევაში შეფასება იყო ძალიან კარგი.

კომისიის წევრებმაც მაღალ დონეზე შეაფასეს გაკვეთილი. დაიგეგმა დასწრება რაგბის ერთ-ერთ თამაშზე, რადგან იგი ჩვენი თამაშია.

ახალთერჯოლის საჯარო სკოლა

ახალთერჯოლის საჯარო სკოლას (დირექტორი ნინო თოდიძე) პროექტში „ვირჩევთ პროფესიას“ წილად ხვდა „მედიცინა“. ღია გაკვეთილი ჩატარდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-5 კლასში (მასწავლებელი მელანო გაბეხაძე). გაკვეთილის თემად არჩეულ იქნა დუტუ მეგრელის საბავშვო მოთხრობა „ქინაქინა“. გაკვეთილზე გარდა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მიზნებისა, როგორიცაა ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება, ლექსიკურ ერთეულზე მუშაობა, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ხალხური და სამეცნიერო მედიცინის ერთმანეთთან შედარებას, ამ მიზნით წამლის დამზადებას. მოთხრობა მიმოხილულ იქნა სხვადასხვა თემატიკით, როგორიცაა ეკონომიკური პრობლემა, მშობლებისა და შვილების, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა და რა თქმა უნდა, სამედიცინო საკითხი.

მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდა თეორიული და ელექტრონული ინფორმაცია, ქინაქინის, როგორც უძველესი სამკურნალო საშუალების შესახებ. ახსნა, რომ ჩვენი წინაპრები ქინაქინას იყენებდნენ ციებ-ცხელების (მალარიის) სამკურნალოდ, რომ ქინაქინისაგან ამზადებენ, როგორც ნაყენს ტემპერატურის დასაკლებად, ასევე მალამოს კანის სხვადასხვაგვარი დაავადების სამკურნალოდ. აღნიშნული მედიკამენტები რესურსის სახით წარმოდგენილი ჰქონდათ საკლასო „მინი აფთიაქში“, მოწყობილი ჰქონდათ „მინი ლაბორატორია“, მოსწავლეებმა „ლაბორატორიაში“ გადაინაცვლეს, მოირგეს ლაბორანტის ფორმა და „ქინაქინის“ ფხვნილისაგან დაამზადეს ნაყენი და მალამო. ეს იყო ერთ-ერთი საინტერესო აქტივობა—„კეთებით სწავლა“, რომელმაც მოსწავლეები გაახალისა. „აუწერელია ის მხიარულება, რომელსაც გრძნობდნენ, როგორც მიხას მშობლები, ისე თვითონ მიხა“, „იქნებ ისწავლო რამე და გამოიყენო, თვარა ხომ ხედავ ჩვენ გასაჭირს“, „ბეჯითმა მიხამ მართლაც უშველა დედას და მამას“. მე-5 კლასელები ამ სიტყვებს კი არ ამბობდნენ, გრძნობდნენ, რომ ცოდნა ადამიანს იხსნის და ფეხზე დადგომაში წაეშველება. მართლაც „ქინაქინა“ არის მოთხრობა კარგი იდეით.

მოსწავლეებმა იციან, რომ დუტუ მეგრელი იყო პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ცნობილი ლექსის „მე პატარა ქართველი ვარ“ ავტორი.

გაკვეთილი მაღალ დონეზე შეაფასა კომისიამ, ითქვა, რომ იყო ერთ-ერთი საუკეთესო გაკვეთილი. კარგად შერჩეულმა, იდეურად სრულყოფილმა მოთხრობამ „ქინაქინა“ ბავშვებში გააღრმავა ცოდნის მიღების სურვილი და ზრუნვა ოჯახურ ღირებულებებზე.

ბარდუბნის საჯარო სკოლა

ბარდუბნის საჯარო სკოლაში (დირექტორი გულო სულამანიძე) ღია გაკვეთილი ბუნებისმეტყველებაში მე-6 კლასში ჩატარდა (მასწავლებელი მაია ნიკოლაძე). პროექტში „ვირჩევთ პროფესიას“ სკოლას წილად ხვდამ „მეცნიერებები“. გამოიკვეთა მიზანი—მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს ცოდნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესახებ და გამოყოს, თუ რომელი მეცნიერებაა მისთვის საინტერესო, უფიქრია თუ არა აირჩიოს ეს მეცნიერება პროფესიად. გამოიკვეთა მასწავლებლის სურვილი—გამოემჟღავნებინათ ცოდნა მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, მიღწეულ იქნა.

გაკვეთილი იყო შემაჯამებელი. მოსწავლეებს გავლილი აქვთ ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის საგაკვეთილო თავები მცირე დოზით ბუნებისმეტყველებაში. ფიზიკის კურსიდან ყურადღება გამახვილდა ისეთ აქტივობაზე, სადაც მოსწავლეს დასჭირდა ძალთა გადანაწილების გამოყენების ცოდნა—წყლის ფილტრაციის შესახებ, მაგ. კაპილარული ფილტრაცია. ქიმიის კურსიდან ჩატარდა აქტივობა—ჩამქრალი კირის მიღება ჩაუმქრალი კირისაგან, მოსწავლეებმა ისაუბრეს ამ რეაქციის მიმდინარეობის ფორმაზე (სითბოს გამოყოფა). დიდი ინტერესით განხორციელდა სოდისა და ძმრის ურთიერთქმედების რეაქცია (რის ხარჯზეც ბუშტები გაბერეს). კოკაკოლასა და შუშხუნა აბების ურთიერთქმედებით წარმოქმნეს აირადი ნივთიერება და ცდით ხაზი გაუსვეს ჯანმრთელი, ჯანსაღი საკვების მიღების აუცილებლობას. მოსწავლეებმა ბიოლოგიის თემიდან გამომდინარე ააწყვეს ეკოსისტემა, იმსჯელეს ეკოსისტემაზე მოქმედ ფაქტორებზე. ისაუბრეს ადამიანის დადებით და უარყოფით გავლენაზე ეკოსისტემაში. მასწავლებელმა მოსწავლეთა ყურადღება მიაპყრო იმის გააზრებას —თუ რომელმა მეცნიერებამ გამოიწვია მათში ყველაზე მეტი დაინტერესება.

საბუნებისმეტყველო დისციპლინის სწავლების მიზანი—აზიაროს მოსწავლე საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, იგრძნოს პასუხისმგებლობა, გარემოსთან დამოკიდებულებაში, იცოდეს სამყაროში მიმდინარე ფიზიკური და ქიმიური მოვლენები, ჰქონდეს ცოდნა დედამიწაზე და გარემოზე, ფლობენ გარკვეული ასაკის შესაბამისი დოზით. იგრძნობდა, რომ მოსწავლეებს გაუძლიერდათ ინტერესი საბუნებისმეტყველო დისციპლინების მიმართ, გაიაზრეს ამ მეცნიერების მნიშვნელობა, გარემოზე ზრუნვის პასუხისმგებლობა, ისიც, რა მნიშვნელობა აქვს უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვას.

გაკვეთილს ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი, მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში, კომისიის წევრები, საგამნანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, მთავარი სპეციალისტი მაია რობაქიძე.

ითქვა, რომ გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.

☞5

„ვირჩევ პროფესიას“—რესურსცენტრის პროექტი თაობის პროფესიული ორიენტაციისათვის

4 ☞

გოდოგნის საჯარო სკოლა

გოდოგნის საჯარო სკოლაში (დირექტორი შორენა აბესაძე) თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში, ჩატარდა ღია გაკვეთილი მე-6 კლასში (მასწავლებელი ნინო ამბროლაძე). საგანი—ჩვენი საქართველო, გაკვეთილის თემა „კულტურის ძეგლები აფხაზეთში“. გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეები გაცნობოდნენ აფხაზეთში არსებულ კულტურის ძეგლებს, ესაუბრათ მათ მნიშვნელობაზე, ძეგლების ისტორიაზე, ამასთან განეხილათ ის მეცნიერებები, რომლებიც გვეხმარებიან ამ ძეგლების შესწავლაში.

საორგანიზაციო საკითხების მოგვარების შემდეგ მასწავლებელმა წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით გამოიყენა აქტივობა „გავაღვიძოთ გავლილი“, რომელშიდაც მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ, პასუხობდნენ დასმულ კითხვებს. შემდეგი აქტივობით მასწავლებელმა, სლაიდის საშუალებით, მოსწავლეებს აჩვენა აფხაზეთში არსებული კულტურული ძეგლები, პერიოდულად სვამდა კითხვებს, რაც ინტერესს აჩენდა მოსწავლეებში. მორიგ აქტივობაში ჯგუფური მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა ისაუბრეს და განარჩიეს ერთმანეთისაგან ბაზილიკის და გუმბათიანი ტიპის ტაძრები. საგნის „ჩვენი საქართველო“ სწავლებაში დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა მეცნიერებები, მათ შორის არქეოლოგია, მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა სახალისო და შემოქმედებითი აქტივობა. წარმოდგენილი ჰქონდათ სხვადასხვა სახის ძველი გატეხილი ნივთები (თიხის, კერამიკის). მოსწავლეებმა როგორც აქტივობით იყო გათვალისწინებული, გონებაში აღადგინეს რა ნივთი უნდა ყოფილიყო იგი და წარმოადგინეს ნახატის სახით.

საინტერესო იყო ბოლო აქტივობა. წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა სამუშაო იარაღები. მოსწავლეებმა აირჩიეს თითო ნივთი და ახსნეს, როგორ გამოიყენებოდა, რა მოქმედებას შეასრულებდა ამ იარაღით არქეოლოგი.

დასასრულს შეჯამდა გაკვეთილი. მოსწავლეებმა შეავსეს თვითშეფასების ცხრილი და გამოხატეს ემოციები.

გაკვეთილის პროცესში აქტიურად იყო ჩართული ყველა მოსწავლე, თვით გაკვეთილის პროცესი საინტერესო, დამოკიდებულება მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის იყო პოზიტიური.

ღია გაკვეთილი მაღალ დონეზე შეაფასა კომისიამ.

თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში (დირექტორი ფიქრია დემეტრაშვილი) ღია ინტეგრირებული გაკვეთილი ჩატარდა სამოქალაქო განათლებასა და გეოგრაფიაში (მასწავლებლები: დარეჯან მემანიშვილი, მაია ცხელიშვილი) მე-7 კლასში, თემაზე: „ფული, მისი ფუნქციები და თვისებები—ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შედარებითი დახასიათება“.

გაკვეთილი კი ასე წარიმართა: მოსწავლეების ჯგუფმა წარმოადგინა პრეზენტაცია, ფულის თვისებების, ფუნქციების, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებზე, სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე. გაიმართა თამაში—„ფულის უსაფრთხოების ნიშნები“ (მაგიდაზე განალაგეს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ვალუტები ნამდვილი და ყალბი, ბავშვები შემთხვევითი შერჩევის მიზნით იღებდნენ თითოეულ მათგანს, უნდა გამოეცნოთ ნამდვილობა და დაესახელებინათ უსაფრთხოების ნიშნები), რაც სწორად გამოიცვნეს. გაიმართა სხვა აქტივობები, პრეზენტაციები სხვადასხვა თემებზე და პრაქტიკული თამაში.

სამიზნე თემებზე—დემოკრატია, ეკონომიკის მდგრადი განვითარება, მოსახლეობა და მეურნეობა, მოსწავლეებმა დამაჯერებლად ისაუბრეს, გაკვეთილის მსვლელობისას გამოიყენეს რესურსები: თეორიული მასალა, საპრეტენზიო მასალა, სახელმძღვანელოები, მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, საინფორმაციო ბუკლეტები და სხვადასხვა ქვეყნის ფული (მონეტები და კუპიურები). მოსწავლეები კარგად ფლობენ საგნებს, კონკრეტულ გაკვეთილზე გამოამჟღავნეს თეორიული ცოდნა და მოახერხეს ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. ითქვა ისიც, რომ დაგეგმილია სასწავლო ვიზიტები მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიაში, კომერციულ ბანკებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მოსწავლეებმა მიიღეს დავალება—ილია და ქართული ბანკი.

გაკვეთილმა მიზანს მიაღწია, იყო ერთ-ერთი საუკეთესო, მოსწავლეები დაფიქრდნენ პროფესიაზე, თუ რა გზას აირჩევენ, როგორ დაეხმარებათ ეს გაკვეთილი და პროექტი „ვირჩევ პროფესიას“.

გაკვეთილი მაღალ დონეზე შეაფასა საგანმანათლებლო რესურსცენტრთან შექმნილმა კომისიამ, სხვა დამსწრეებმა, თვით რესურსცენტრის ხელმძღვანელმა.

ღია გაკვეთილი—სპორტი, მუსიკა, დიპლომატია

ნახშირღელის საჯარო სკოლაში (დირექტორი ვაჟა ბუიღლიშვილი) საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში ინტეგრირებული ღია გაკვეთილი ჩატარდა მე-5 კლასში თემაზე—სპორტი, მუსიკა, დიპლომატია (სპორტის მასწავლებელი შორენა მუმლაძე, მუსიკის პედაგოგი ნატო მიქაბერიძე).

მე-5 კლასში 21 მოსწავლეა. გაკვეთილის აქტუალობა—გაკვეთილი დაეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ და უკეთ გაიგონ სპორტისა და მუსიკის ურთიერთგავლენა. არსებობს სპორტის ისეთი სახეობები, რომლებიც უშალოდ მუსიკის თანხლებით შეიქმნა ამ სახეობის წარმოდგენა მუსიკის გარეშე წარმოუდგენელია. მაგ. ჭიდაობა, ფიგურული სრიალი, მხატვრული ტანვარჯიში, სინქრონული ცურვა. მოსწავლეები ამ ორ დისციპლინას ერთმანეთს დაუკავშირებენ და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთებენ პრეზენტაციას, გაიმდიდრებენ ლექსიკას, გამოიყენებენ მიღებულ ცოდნას. დააკვირდებიან და განიხილავენ რა უნარებია საჭირო დიპლომატიისთვის, როგორ განვავითაროთ იგი და გამოვიყენოთ ურთიერთობაში.

ნათლად გამოიკვეთა გაკვეთილის მიზანი—შესწავლილი მასალის გამოყენება, როგორც სასწავლო პროცესში, ისე ცხოვრებაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა მოსწავლეებში, ორგანიზება და თვითკონტროლი, მუსიკის ზემოქმედება ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად—მოსწავლეებმა უნდა შეძლონ გამაჯანსაღებელ აქტივობებში მონაწილეობა, ორგანიზებულობასა და თვითკონტროლის გამომუშავებისა და განვითარების მიზნით. ფიზიკურ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართულობის ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა-გამოყენება, გარე სამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, სიმღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების, რიტმის, ტემბრის, მელოდიის გამოყენება ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად.

გაკვეთილზე შემოწმდა მოსწავლეთა ცოდნა განვლილი მასალის ირგვლივ. მოხდა შესწავლილი მასალის გამეორება და დაკავშირება ახალ მასალასთან.

მასწავლებლებმა მოსწავლეებს გააცვნეს გაკვეთილის მიზანი და ამოცანები, დაყვეს ჯგუფებად, განტვირთვის მიზნით, მოტივაციისათვის მოისმინეს მუსიკა (ჭიქების ცეკვა). ამასთან შეახსენეს, რომ დღევანდელი გაკვეთილი განსხვავებულია. „შევეცდებით დაგანახოთ მუსიკის გავლენა სპორტზე და პირიქით, სპორტის გავლენა „შთაგონების“ სახით მუსიკის შექმნაში. ბევრი კომპოზიტორისათვის სპორტის ესა თუ ის სახეობა იყო შთაგონების წყარო, შეექმნა უკვდავი ნაწარმოებები“. „მუსიკა ეს ის საგანია, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა, იგი მრავალი დანიშნულებით გამოიყენება. ქართველები ბრძოლაში სიმღერით მიდიოდნენ, მღეროდნენ შრომის დროს, ლხინში, მისი საშუალებით თქვენ შეგიძლიათ დროში იმოგზაუროთ, გაეცნოთ სხვადასხვა ქვეყნების კულტურას, გაიუმჯობესოთ სმენა, მეხსიერება, აიმაღლოთ განწყობა, მოტივაცია...

იყო საუბარი იმაზე, თუ როგორ დაეხმარება ხელოვანს დიპლომატიური უნარები პროფესიის განვითარებაში, მისი ქვეყნის წარმოჩენაში და წარმატებაში. მოსწავლეებმა შეასრულეს რიტმული სავარჯიშო ტაშით, კაკუნით. პრეზენტაციები წარმოდგენილ იქნა 4 ჯგუფიდან. ჯგუფის ნამუშევარი წარმოადგინა თითო პრეზენტატორმა. თითოეული პრეზენტაციის შემდეგ, განმტკიცების მიზნით და ვიზუალური მასალის უკეთ აღსაქმელად მოსწავლეებმა ნახეს ვიდეო განხილულ საკითხზე. წარმოდგენილ იქნა: „მხატვრული ტანვარჯიში“, „ფიგურული სრიალი“, „ჭიდაობა“, „სინქრონული ცურვა“.

იმსჯელეს და გაიგეს, რომ ხელოვანმა-სპორტსმენებმა, მუსიკოსმა ყველაზე უკეთ უნდა გამოიყენონ და გამოხატონ თავიანთი სათქმელი მუსიკით, მანერით, ვარჯიშით, ურთიერთ დამოკიდებულებით.

გაკვეთილის შეჯამება

დაისვა კითხვა: რა მოგცათ ამ გაკვეთილმა, რით იყო ის გამორჩეული და საინტერესო? თქვენ რომელ სახეობაში წარმოგიდგენიათ თქვენი თავი? მაყურებელი იქნებოდით თუ მონაწილე. რაში გამოიყენებთ მიღებულ ცოდნას. დახატეთ ან დაწერეთ რომელი სახეობა მოგეწონათ ყველაზე მეტად და რა მხრივ, ესთეტიკურად ლამაზი სანახაობის გამო თუ ისურვებდით პროფესიულ დონეზე შეგესწავლა, რა სირთულე ახლდა თითოეულ მათგანს.

მოსწავლეები წერენ და ხატავენ მშვიდი მუსიკის ფონზე. პრეზენტაციები გააკეთეს ინდივიდუალურად. გამოთქვეს მოსაზრება როგორ იმოქმედა მშობლიურმა მუსიკამ მათზე, რა იგრძნეს.

მოსწავლეებმა შეავსეს თვითშეფასების რუბრიკა. დაწერეს, რომ წარმოდგენა შეექმნათ დიპლომატიაზე, გაიგეს ვინ არის დიპლომატი, რა უნარები, თვისებები, მანერები უნდა ახასიათებდეს, რომ უნდა იყოს გამჭრიახი, კომუნიკაციის მაღალი უნარის მქონე, მშვიდი, გაწონასწორებული დ ეს თვისებები თანდათან უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს, დარწმუნდნენ იმაშიც, რომ ასეთი ადამიანი ყველა სფერში წარმატებული იქნება. მოიყვანეს მაგალითები ქართული სპორტსმენების ცხოვრებიდან, წარმატებებიდან, აღნიშნეს, რომ ამ წარმატებებში დიდი წვლილი სწორედ დიპლომატიურ ხასიათს, მიდგომას მიუძღვის, მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგეებთან, თანაგუნდელებთან, მწვრთნელებთან სწორი დამოკიდებულება...

თვითშეფასების რუბრიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს სპორტსა და მუსიკას...

კლასს მიეცა საშინაო დავალება.

***

ინტეგრირებული გაკვეთილი შედგა. გაკვეთილმა მოსწავლეები დააფიქრა პროფესიაზე, ერთმა დიპლომატია აირჩია. პროექტში მონაწილეობისათვის მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები. კომისიამ მოიწონა გაკვეთილი.

ᲟᲣᲭᲣᲜᲐ ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔ

მადლობას იხდის მადლიერი ჟურნალისტი

ძვირფასო მკითხველებო, თანამოკალმეებო, მოგესალმებით და გულწრფელ მადლობას გიხდით ნუგზარ გამყრელიძე.

ჟურნალისტობა რომ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, ამის განმარტებას არავინ საჭიროებს. მხოლოდ მადლიერებას გამოვთქვამ, რომ გაზეთისადმი დამოკიდებულება მუდამ გვაძლევდა სტიმულს—ჩვენი საკეთებელი საქმე მოწოდების სიმაღლეზე გვეკეთებინა. როგორ გამოგვდიოდა ეს—ამის განსჯის უფლებას თავს ვერ მივცემ. ჩემს წილ მადლიერებას კი გამოვხატავ და გული მწყდება, რომ ასაკის გამო საყვარელ გაზეთთან, კოლეგებთან და მკითხველებთან დამშვიდობება მომიხდა.

გამოგიტყდებით და მართლაც
„ძნელი ყოფილა თურმე სიბერე“,
კალამი დავდე, მოვეფერე, მივუალერსე!
ახლა?
კარგა ხანია თოხი და ბარი ავლესე!
დავდივარ კარ-მიდამოში...
ვსხლავ, ვთოხნი, ვბარავ, ვეფერები მინდვრის ყვავილებს...
კარის მეზობელს გავუხარდები, ჭურის ღვინოსაც დამილევს...

***

ეს ოთხმოცდაათი წელი ხომ შევასრულე,
უკვე „თავისუფალი ვარ ჯარიდან!“
თავს კარგად ვგრძნობ იდილიურ სიმყუდროვეში!
ახლა კითხვაზე ვარ გადასული, ეს წერაზე
უფრო ადვილია!
რასაც ვამბობ ნამდვილია!
ვარ ჩემთვის „გამყრელიძეების გორაზე“, ვმუშაობ
სასხლავით, ხან თოხით, ხან ბარით...
თუ ტყუილს ვამბობდე, რაც გინდათ მითხარით.

***

მრავალი წელი ჩვენ ერთად, ერთ სულ და ერთ ხორც
მივუყვებოდით ცხოვრების აღმართს.
მე თქვენ მიყვარდით და მიყვარხართ ახლაც!
გაზეთმა „თერჯოლამ“ ჩვენ ერთად გვატარა:
ავტორ-მკითხველი, დიდი თუ პატარა!...
ჩვენ ერთად ვცდილობდით ავის და კარგის გარჩევას,
უპირველესად სამშობლოს სიყვარულს ვაძლევდით
არჩევანს!
მადლობას გიხდით, რომ „თერჯოლას“ ვმსახურებდით
ერთად,
რომ საქმეს ჩვენსას ვედექით ერთსულ, ერთ ხორც
და ერთხმად!
მადლობას გიხდით სიყვარულისთვის და გეფერებით

90 წლის იუბილარი ჟურნალისტი
ნუგზარ გამყრელიძე.

ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მორიგი სპექტაკლი

(მე, ბებია, ილიკო და ილარიონი)

...მანამდე უცნობი და განუმეორებელი სამყაროთი შემოვიდა ნოდარ დუმბაძე ქართულ მწერლობაში, განუმეორებელია მისი პროზა და ცისკრის ნომრებში დაბეჭდილი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა მკითხველს, მისი კითხვისას გულიანად იცინოდა მკითხველი და სიცილს სევდაც ახლდა, მაგრამ ტრაგი-კომიკური ორგანულად არის შერწყმული ერთმანეთთან და ასეთ შემთხვევას წინამძღვრად მაინც სიცილი ახლავს.

ნოდარ დუმბაძემ ყველაფერი თავისი მოიტანა, თავისი სტილი, ხედვა, იუმორი, იგი არავის ჰგავს. მისი გმირები უწყინრები და კეთილები არიან, აქვთ სადა და ჯანსაღი იუმორი, თავისი ტკივილით და განცდით.

ზურიკელას, ილიკოს, ილარიონს, ბებიას მხიარული თავგადასავლებით სავსე ცხოვრებამ მიიზიდა მკითხველი. ნაწარმოებში ეპიზოდები ეპიზოდებს მისდევს, ამოუწურავია სასაცილო ეპიზოდები, მათ ცხოვრება ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ, მუდამ ენატრებათ ერთმანეთი, ერთად ყოფნის წყურვილით ცხოვრობენ, თუმცა ყოველ ხელსაყრელ ვითარებაში აქილიკავებენ ერთმანეთს. ყველა ეპიზოდი: ზურიკელას მოსწავლეობა, გაკვეთილები და სიმწიფის ატესტატი, ნადირობა, ილიკოს ჩამწყვრევა ჭურში, ომის დროინდელი სკოლა, მურადას სიკვდილი, დეპეშა, ღვინის მოპარვა, პილპილიანი თუთუნი, ილარიონის ჩასვლა თბილისში, შუშის თვალი და ილიკოსთან შეხვედრის „შიში“, დიდი სამამულო ომი, მდიდარი ადამიანური თვისებები, „ნაბადი“, „ჩექმები“, „წინდები“, აგიტატორი, მერი და დიდი სიყვარული, ბებიის სიკვდილი, ანდერძის გარეშე დატოვებული ქონება, რადგან ისედაც ზურიკოსია ყველაფერი, დარიგება უკანასკნელი „არ დაკარგო ნენა, ეს ორი კაცი, ამათ რომ სიკეთე აქვთ შენთვის გაკეთებული, იმას ვერ გადაიხდი და ნურც დაპირდები, ისე გიყვარდეს, როგორც მათ უყვარხარ“, მერის შემოსვლა ოთახში და ზურიკელას ფიქრი და შეგრძნება, რომ „იგი აღარ წავიდოდა და არ დამტოვებდა“.

ეს და სხვა ეპიზოდები ვიხილეთ თერჯოლის კულტურის სახლის ხალხით სავსე დარბაზში, ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილ სპექტაკლში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რიგით მეათეა, რომელიც რეჟისორმა ტატო პატარიძემ დადგა და ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა,

როგორც ყოველთვის უნაკლოდ შეასრულეს, თითქოს პროფესიონალები, დიდ სცენაზე მოღვაწე მსახიობები იდგნენ სცენაზე.

დათქმულ დროზე ადრე გაივსო დარბაზი, შემოიტანეს სკამები, ისხდნენ ძირს, საფეხურებზე, მაგრამ მაინც დარჩნენ ფეხზე მდგარნი და ფოიეშიც, ყველა ინტერესით ელოდა სპექტაკლის დაწყებას, იყო მოლოდინი როგორი იქნებოდა სპექტაკლი ამჯერად.

როგორც სჩვევია, ძევრის სკოლის დირექტორმა მანუჩარ ფანჩულიძემ მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ, მადლობა უთხრა მუნიციპალიტეტის მერს ბატონ მანუჩარს, საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიას, მრავლად წარმოდგენილ მერიის თანამშრომლებს, საკრებულოს დეპუტატებს, ყველას, მოწვეულ სტუმრებს თუ მოუწვეველს, მოსწავლეებს, სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეთა მშობლებს, სკოლის მუდმივ სპონსორს—სკოლის ყოფილ მოსწავლეს ზვიად მეფარიძეს... სამადლობელი და საქებარი არ დაიშურა რეჟოსორ ტატო პატარიძისადმი, თქვა, რომ მან შეასრულა თხოვნაც და დანაპირებიც, განხორციელდა სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომ ამჯერად სცენა ეთმობა—იუმორს.

სცენაზე ვიხილეთ ზურიკელა, ილიკო, ილარიონი. ბებია, მერი, მასწავლებელი, ექიმი, აგიტატორი, სკოლის მოსწავლეები, ყველას მორგებული ჰქონდა თავისი როლი, გათვლილი იყო ყველა დეტალი. იყო სიცილი, სევდა ბებიის გარდაცვალების გამო და დასამახსოვრებელი, ჭკუის დარიგება და შეგონება, ცისკენ აპყრობილი ხელები და ლოცვა—**ღმერთო მაღალო, ღმერთო ძლიერო, დედაო ღვთისაო, წმინდაო მარიამ, არ მოაკლო შენი წყალობა ჩემს სისხლს და ხორცს, ზურიკელას და მის ნაგრამს, შენ გაუმართე ხელი გასაჭირში, შენ გაუნათე უკუნი და მიეც დღე გრძელი...**

ეს ლოცვა, საერთოდ ყველას ლოცვად იქნა აღქმული. ზურიკო კი ამბობს: მერის უზომო სინათლე შემოჰყვა. ავდექი, შემოვტრიალდი, რათა დამენახა ეს სინათლე, ამ სინათლეზე ჩემი ილიკო, ჩემი ილარიონი და ჩემი ბებია...

სპექტაკლი დამთავრდა, დარბაზი ფეხზე იდგა, იყო ბევრი ტაში და მოწონების შეძახილი, იხმობდნენ რეჟისორს და მონაწილეებს... მერე ტატო გამოჩნდა, როგორც ყოველთვის მოკრძალებული იყო, ბედნიერი, ალბათ ამაყიც, „ჩვენ ვიმუშავეთ, რაც გამოვიდა, ხედავთ, წელს დიდი ძალა მიდის სკოლიდან, მაგრამ მოდის სხვა თაობა, სამწუხაროა, რომ XII კლასელთაგან ვინც სპექტაკლში იყო დასაქმებული და წარმატებულადაც, თეატრალურზე არავინ აბარებს, არადა შეუძლიათ. მადლობა პედაგოგიურ კოლექტივს, ბატონ მანუჩარ ფანჩულიძეს, სპონსორს, მერიას, საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტს, მოსწავლეთა მშობლებს და თქვენ, მაყურებლებო“. ტატომ წინასწარ მიულოცა დამსწრეთ აღდგომის დღესასწაული, მშვიდობა ისურვა და მანუჩარ რობაქიძის მისამართით თქვა—სიკეთეს ღმერთი დაგიბრუნებთო.

სიტყვებით გამოვიდნენ და სპექტაკლი შეაფასეს: საკრებულოს თავმჯდომარემ გია ბარათაშვილმა, მუნიციპალიტეტის

მერმა მანუჩარ რობაქიძემ. რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, სამხედრო აღრიცხვისა და რეკრუტირების სამსახურის ხელმძღვანელმა ვასილ ტყეშელაშვილმა, ისმოდა სიტვები: „კარგები ხართ, აღფრთოვანებული ვარ, საამაყო თაობა მოდის, ნამდვილი არტისტები ხართ, გვაცინეთ, გვატირეთ, თქვენ ერთიანი გუნდი ხართ, იშვიათია ასეთი მსმენელი, არაჩვეულებრივი სპექტაკლი, არაჩვეულებრივი რეჟისორი, ძლიერი სკოლა, ძლიერი ხელმძღვანელი, ბევრს შეშურდება ის, რაც ერთი სკოლის ბაზაზე ვიხილეთ, ყველა სკოლას აქვს ბაზა, კარგი იქნება ერთი მუნიციპალური თეატრი და სხვა „ათასი“ თბილი სიტყვა ითქვა.

სპექტაკლს ესწრებოდნენ: **იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის რეგიონებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი დავით გორდელაძე, ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის ხელმძღვანელი რევაზ რობაქიძე, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლს, ქება და სამადლობელი არ დაიშურეს.**

მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მაკა ასათიანი, სკოლის დირექტორმა რამდენჯერმე ახსენა, მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის, ხელის შეწყობისთვის.

სპექტაკლი ფრანგული სიტყვაა, რომელიც ფართოდ არის დამკვიდრებული, ქართულად სიტყვა-სიტყვით იგი თეატრალურ წარმოდგენას ნიშნავს. მე, ბებია, ილიკო და ილარიონი იყო ნამდვილი წარმოდგენა მშვენიერი მოთხრობის. ამ წარმოდგენის „წარმოდგენა“ არ გამოდგა ადვილი. ეს სპექტაკლი უნდა ნახო!

მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი მანუჩარი, რომელმაც, ისე, რგორც ყველამ, მაღალ დონეზე შეაფასა სპექტაკლი, მადლობა გადაუხადა სკოლას, რეჟისორს, მოსწავლეებს, სპექტაკლის მონაწილეებს სასურველი ექსკურსიის დაფინანსებას დაპირდა... და გაიხარეს ძევრელებმა.

სპექტაკლში მონაწილენი: ზურიკო—ვოვა ფანჩულიძე, ოღლა ბებია—ნინო მეფარიძე, ილიკო—ავთო ყურაშვილი, ილარიონი—გიორგი ფხალაძე, მერი—ბარბარე კალატოზი, ექიმი—გუგა ხუბულავა, რომული—მათე ხოსიაშვილი, მასწავლებელი—თაკო ხეცაძე, მოსწავლეები: გიორგი ხეცაძე, გიორგი ფანჩულიძე, ნინი მაღლაკელიძე.

განათებაზე მუშაობდა საბა მეფარიძე, სპექტაკლს მუსიკალურად აფორმებდა გიორგი გოგოლაძე.

ჟუჟუნა ცხადაძე

1☞

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

აღთქმაში ხშირად იხსენიება შემოქმედი) რწმენა განსაკუთრებით დიდი იყო რჩეულ ერში; მძიმე და დაძაბუნებულ მდგომარეობაშიც კი, ამ წიაღში საუკუნეთა მანძილზე ჩნდებოდნენ ღვთისსათნო და რჩეული პიროვნებები, რომლებიც ზეცისკენ მიმავალ გზას უჩვენებდნენ ხალხს.

ისინი იმ იმედით იყვნენ აღვსილნი, რომ შემოქმედი არ დაუშვებდა მუდმივ დასჯილობაში ცხოვრებასა და სიკვდილს და დაგვიბრუნებდა დასაბამისეულ პატივს.

ამიტომაც, გულდასმით იძიებდნენ სამოთხისეული მდგომარეობის დაკარგვის მიზეზებს და საზოგადოებაში მარადიული ღირებულებების განმტკიცებისთვის ძალისხმევას არ იშურებდნენ; ამასთან, ღვთისსათნო ცხოვრების მაგალითს, პირველ რიგში, თვითონ იძლეოდნენ.

* * *

მაცხოვარმა დედამიწაზე იმ წყევლის ქვეშ იცხოვრა, რაც ადამის მოდგმამ ცოდვის გამო დაიმსახურა. თავად ყოვლად უცოდველმა იტვირთა უბრალო ადამიანის ყოფა, დაიბადა რა ხუროს ოჯახში, რომელიც ყოველდღიური შრომით მოიპოვებდა სარჩოს. ამასთან, განკაცებული უფალი თავისი ნებით ითმენდა ტკივილს, შიმშილს, დაღლას ... შემდეგ კი, - უმადურობას, სიცრუეს, ცილისწამებას, შეურაცხყოფას, ღალატს ...

როგორი წარმოუდგენელია, რომ ღმერთი შენს გვერდით, შენი ცხოვრებით ცხოვრობს; უცოდველი ცოდვილთა შორის ჩვენს მძიმე ხვედრს ტვირთულობს, რათა მოგვცეს მაგალითი რწმენის, სიწმინდის, დათმენის, სიკეთის, სიყვარულის ... და რეალურად დაგვანახოს, როგორი უნდა იყოს ადამიანი.

30 წლის იესო უცხადებს კაცობრიობას, რომ აღსრულდა საუკუნეთა მოლოდინი, განკაცდა მხსნელი, რათა შემოქმედი დაეხმაროს თავის ქმნილებას და ჩვენთვის ყოველი კეთილი შესაძლებელი გახადოს.

ამასთან, ხილული სასწაულებით უფალი მრავალგზის ამოწმებს, რომ აქვს ძალმოსილება, განკურნოს ნებისმიერი უძლურება და სნეულება, გაათავისუფლოს ადამიანები ბოროტი სულებისგან, აზიაროს ისინი ღვთის სიბრძნეს; რომ მხოლოდ მას შესწევს ძალა, დაამყაროს მშვიდობა, დაამარცხოს თვით სიკვდილი და აღადგინოს მკვდრები... მაგრამ ღვთის რჩეული ერის დიდი ნაწილი და მისი სულიერი წინამძღოლნი საბოლოოდ მაინც უგრძნობნი დარჩნენ უფლის მოწოდების მიმართ, ზურგი აქციეს ცხოვრების წინამძღვარს და მისი დასჯა მოითხოვეს.

იგივე მოხდა ყველაზე ძლიერ და, ფაქტობრივად, იმ დროის ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოშიც, - რომის იმპერიაში, რომლის ნაწილსაც ისრაელი მაშინ წარმოადგენდა. რომმა ღვთის სიბრძნეს და სამართალს თავისი იურიდიული კანონები შეაგება. აქ კი წესად ჰქონდათ: იმათგან, რომელნიც არ იყვნენ რომის მოქალაქენი, თუკი ვინმე იმპერიულ ღირებულებებთან და მისწრაფებებთან შეუთავსებელი იქნებოდა, თუნდაც იგი ჭეშმარიტების მქადაგებელი ყოფილიყო, ყველაზე დამამცირებელ სასჯელს უქვემდებარებდნენ - ჯვარზე აკრავდნენ. ჯვარი წარმოადგენდა სიმბოლურ სახეს იმისას, რაც სიბნელეს, უმეცრებას, ბოროტებას უკავშირდებოდა და, მათი აზრით, სიკეთისა და ცივილიზაციის მტრობას ნიშნავდა.

მაშინ ზეციური ძალები შეძრწუნდნენ, ანგელოზები განცვიფრდნენ, სტიქიონები შეირყა, მთელი ქმნილება შეიძრა, მზე განერიდა, ქვეყანა სიბნელემ მოიცვა, კრეტსაბმელი განიპო, ანგელოზმა ტაძარი დატოვა ... (წმ. კირილე ალექსანდრიელი).

მაგრამ როგორ უპასუხა უფალმა ამ ენითაუწერელ დანაშაულს?

გამაოგნებლად! მიუთხრობელი დათმენით, სიბრალულითა და სიყვარულით.

მან მორჩილად და უდრტვინველად მიიღო განაჩენი და არ შეეწინააღმდეგა. არ გამოიყენა ღვთიური ძალა და არ გასცდა ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებს, რათა მთავარი მიზანი ბოლომდე აღესრულებინა, - თავისი ყოვლადუცოდველი კაცობრივი სულის ღმრთეებრივი ძალმოსილებით ჯოჯოხეთი დაეთრგუნა და სიკვდილი შეემუსრა, ბოროტი ძალისთვის გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა და მართალთათვის ცათა სასუფევლის გზა გაეკვალა.

* * *

უფლის ჯვარცმით კაცობრიობამ განაჩენი არა მარტო იესო ქრისტეს გამოუტანა, არამედ საკუთარ თავსაც, რადგან ამიერიდან ქრისტეს მიმდევართათვის ხსნა სულიერ ჯვარცმას დაუკავშირდა.

რა თქმა უნდა, მძიმეა ეს გზა, ეს ჯვარი, მაგრამ, ამასთან, მადლმოსილია იგი და მიმზიდველი, ერთადერთია და გადამრჩენელი; ამიტომაც ჰყავს ქრისტეს ეკლესიას ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი ამდენი წმინდანი და ერთგული შვილი.

როდესაც ჩვენი მიწიერი ყოფა შენც უსამართლოდ დაგამცირებს, შეურაცხგყოფს და გაგრიყავს, რადგან ჭეშმარიტებას ეძიებ და უარს ამბობ ცოდვილ კეთილდღეობაზე, იცოდე, ამით სოფელი აცხადებს, რომ შენ მისი არ ხარ; ეს კი ნიშნავს იმას, რომ შენ უფლისა ხარ; ანუ იმ ჯვრის მტვირთველი ხარ, რომელიც ქრისტეს მიმდევართათვის იქცა სამართლიანობის, ერთგულების, ღირსების, სიკეთის, ჭეშმარიტების ხატად და მარადიული სიცოცხლის ნიშნად.

მაცხოვარი გვიხმობს ყველას და განგვამტკიცებს: „განსაცდელი გექნებათ ამქვეყნად, მაგრამ გამხნევდით, მე ვძლიე სოფელს“ (ინ.16,33) და „თქვენთანა ვარ, დღემუდამ, ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა“ (მთ.28,20) ... „დაიცავით ჩემი მცნებები და რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, შეგისრულდებათ“, (ინ.14;15,13) ოღონდ, როგორც „მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“ (ინ.13,34).

* * *

დღეს მსოფლიოში მრავალგვარი რთული პროცესი მიმდინარეობს; დროც, თითქოს, დაჩქარდა; მოვლენებიც და შეხედულებებიც სწრაფად იცვლება; დაპირისპირებულობა, არასტაბილურობა, ეკოლოგიური პრობლემები, მუდმივი სტრესი, ომები ... ჩვენს საერთო რეალობად იქცა. მშვიდობის მოსურნეთა მონდომება დიდია, თუმცა შედეგის მიღწევა იოლად არ ხდება ...

ღმერთმა დალოცოს მშვიდობისმყოფელნი, ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს მსოფლიო!

არსებულმა ვითარებამ ყველა უფრო მეტად უნდა დააფიქროს სიცოცხლის არსზე და მარადიულ ღირებულებებზე.

ჩვენ მარადიული ნეტარებისთვის ვართ შექმნილნი; აქ, ამქვეყნიურ ყო-

ფაში, კი დროებითის და წარუვალის, მიწის და ზეცის კავშირით უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ სწრაფვა მარადიულობასთან სიახლოვისკენ, მუდამ უნდა გვქონდეს, რაც პირველ რიგში ეკლესიის საშუალებით მიიღწევა.

მხოლოდ ეკლესია გვიცხადებს სიცოცხლის ნამდვილ მიზანს, გვახედებს ჩვენს სულში და სიკეთისა და ბოროტების გარჩევის ყველაზე ჭეშმარიტ და სწორ შესაძლებლობას გვთავაზობს. ის არ გვთხოვს შეუძლებელს; პირიქით, გვიხმობს ჩვენი სისუსტეებით და მათ დასაძლევად ძალას გვაძლევს. ის გულში გვიკრავს, მაგრამ უკეთურ ქმედებას არ მოგვიწონებს. ამასთან, ჩვენს სულიერ და შინაგან ძალებს განამტკიცებს და ყველაზე რთულ ვითარებაშიც იმედს არ გვაკარგვინებს.

საეკლესიო დღესასწაულთა შორის ყველაზე გამორჩეული ადგილი აღდგომას აქვს, რადგან სწორედ იგია წინასახე ზეციურ უხრწნელებაში ჩვენთვის მარადიული სიცოცხლის მონიჭებისა.

რას ნიშნავს ეს?

როდესაც ჩვენ ვზეიმობთ უფლის აღდგომას, ამავე დროს, ვდღესასწაულობთ უხრწნელი სხეულით ჩვენს მომავალ დამკვიდრებას ცათა შინა. იესო ქრისტემ მოგვცა მაგალითი როგორც ამქვეყნად სწორად ცხოვრებისა, ისე გვიჩვენა მისი შედეგიც,- სასუფეველში მართალთა დამკვიდრებისა.

კაცობრიობის საყოველთაო აღდგომის რწმენა არის ქვაკუთხედი ქრისტიანული აზროვნებისა; ვისაც ეს არ სწამს და თავს მაინც ქრისტიანად თვლის, ძალიან ცდება და, სინამდვილეში, მაცხოვნებელ ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს, რადგან, როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, „თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა და ... თუ ქრისტე არ აღმდგარა, ფუჭია ჩვენი ქადაგებაც და ჩვენი რწმენაც“ (I კორ.15.16,14).

სწორედ რწმენა მარადიულ ნეტარებაში დაბრუნებისა, აძლევს აზრს ჩვენი ყოფის იმ წესს, რაც უფალმა გვასწავლა და გულისხმობს: სხვათადმი მსახურებას, თავმდაბლობას, დათმენას, თანაგრძნობას, თანადგომას, ზნეობრიობას, მშვიდობისმყოფელობას, გულის სიწმინდეს, სულის სიმტკიცეს, უშურველობას, თავდადებას.

* * *

ჯვარცმის შემდეგ ისინი, რომლებიც საფლავთაგან აღდგნენ, გახდნენ პირველი მქადაგებელნი ქრისტეს აღდგომისა. და როგორ არ დაიჯერებდნენ აღდგომის სასწაულს ისინი, რომლებიც საკუთარი თვალით ხედავდნენ გახსნილ სამარეებს და ისმენდნენ საფლავთაგან გამოსულთა ქადაგებას?!

როგორ არ დაიჯერებდნენ აღდგომის სასწაულს მენელსაცხებლე დედები და მოწაფეები, როცა 40 დღის განმავლობაში ჰქონდათ ურთიერთობა უხრწნელი სხეულით აღმდგარ უფალთან და მისგან დარიგებებს კვლავ იღებდნენ!?

როგორ არ დაიჯერებდნენ მომხდარს იესო ქრისტეს ასობით სხვა თვითმხილველნიც და მისი ცად ამაღლების მოწმენი!?

ეს ურყევი რწმენა და უფლის სწავლებანი შინაგანად სულიერად განბრძნობილმა და განმტკიცებულმა მოციქულებმა და ეკლესიამ მთელ ქვეყანაზე განავრცეს.

* * *

წმ. ეფრემ ასური წერს: „მკვდა-რთა აღდგომისას მიწა უკან აბრუნებს ადამიანს ისეთივეს, როგორიც იყო; იმათაც, ვინც ზღვამ შთანთქა, ვინც მხეცებმა და ფრინველებმა შეჭამეს, ვინც ცეცხლში დაიწვა ... აქ ერთმანეთის უნახავნი, იქ იხილავენ ერთურთს; დედა იცნობს, რომ ეს მისი შვილია, და შვილი იცნობს, რომ ეს მისი დედაა ... ამასთან, თითოეულის სხეული თავის საქმეებს აჩვენებს, რადგან თითოეული ჩვენგანი ამ საქმეებს საკუთარი სხეულით ატარებს და ყველას შესაბამისად მიეგება საზღაური“.

ადამიანი არ არის ცალკე არც სული და არც სხეული, არამედ - მათი ერთობა. ასე შეიქმნა იგი თავიდანვე; ამ ერთობას არღვევს სიკვდილი, რაც ცოდვის შედეგია; აღდგომით ჩვენი განახლებული სხეული და სული კვლავ შეერთდება და ღირსთათვის სამოთხისეული მდგომარეობა უფრო აღმატებული სახით დაბრუნდება.

ეს კი მეორედ მოსვლის შემდეგ აღესრულება, როცა შეიქმნება ახალი მიწა, ახალი ცა, სიკვდილი სრულად განქარდება და მარადისობაშიც ჩვენი საბოლოო დამკვიდრება მოხდება.

მაგრამ ვიდრე არ დამდგარა ჟამთა აღსასრული და გარდაცვლილთა სულები თავისი უხრწნელი სხეულით შემოსვის მოლოდინში არიან, ვიდრე შესაძლებელია როგორც საკუთარი თავის, ოჯახის წევრებისა და სხვათადმი, ასევე, იმქვეყნად წასულ ჩვენს ახლობელთათვის ლოცვა და სიკეთის ქმნა, ადამიანთა გამოხსნის პროცესი ბოლომდე დასრულებული არ არის.

გვჯერა ეს თუ არ გვჯერა, გვსურს ეს თუ არა, რეალობა ერთია, - ჩვენი არსებობა ამ წუთისოფლით არ მთავრდება.

ამქვეყნად აღვასრულებთ არსებობის იმ სახეს, რაც გარდაცვალების შემდეგ ჩვენს მომავალ ცხოვრებას განაპირობებს. ასე რომ, ჩვენი ყოველდღიური მოქმედებით, აზროვნებითა და მეტყველებით, ჩვენ თვითონ ვძერწავთ, ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენს მარადიულობას, - კარგს ან ცუდს.

და როგორც სამოთხეში, ისე აქაც, დედამიწაზე, ჩვენზეა დამოკიდებული, რას ავირჩევთ მიზნად: სიკეთეს თუ ბოროტებას, სიცოცხლეს - თუ სიკვდილს?

აირჩიე სიკეთე და სიცოცხლე! ამით დაამტკიცებ, რომ აფასებ ღვთის სიყვარულსა და მსხვერპლს შენს გადასარჩენად გაღებულს და აფასებ საკუთარ სიცოცხლეს, - შემოქმედის უდიდეს წყალობას შენდამი.

* * *

განიძარცუე სამოსელი გლოვისა შენისაი და შეიმოსე სამკაული სიხარულისა შენისაი, ქალაქო წმიდაო, რამეთუ „აჰა ესერა მწუხრსა განისუენა ტირილმან და ცისკარსა მას მოიწია სიხარული აღდგომისაი“ (მელეტი ანტიოქიელი).

აღდგომილმა მაცხოვარმა თქვენც მოგმადლოთ სიხარული!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, ყოვლადწმინდა სამებამ დაგლოცოთ, სულიერად განგამტკიცოთ და განგაძლიეროთ თითოეული თქვენგანი!

მუდამ გახსოვდეთ, აღდგომა არის მარადიულობის იმედი და მწუხარების განქარვების დღე, აღდგომაა მტრობის დამარცხება, შურზე, ბოროტებაზე და სიკვდილზე გამარჯვება; აღდგომაა პატიება, გამოსყიდვა და სიხარული; აღდგომაა სიყვარულის ზეიმი და შესაძლებლობა საუფლო სხეულში ყველას განახლებისა და ქრისტეში გაერთიანებისა.

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

თქვენთვის მლოცველი,
ილია II,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.
თბილისი, აღდგომა ქრისტესი,
2025 წ.

ჭადრაკი

14-17 მარტს ქ. ფოთში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის დასავლეთ ზონის I ლიგა 8, 10 და 12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ორგანიზატორი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, ფოთის საჭადრაკო კლუბი „ნანა“, ტურნირის დირექტორი საერთაშორისო ორგანიზატორი დათო კოდუა. ტურნირში მონაწილეობდა ფოთის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, სენაკის, ხობის, თერჯოლის 100-მდე მოჭადრაკე.

ჩემპიონატზე I-V ადგილზე გასულმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს საქართველოს შესაბამისი ასაკის უმაღლესი ლიგის საგზურები. კარგი შედეგი აჩვენეს თერჯოლის სპორტული სკოლის ჭადრაკის წრის მოსწავლეებმა. 10 წლამდე გოგონათა შორის მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა **ბარბარე მაკარიძემ** (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა), ასევე 12 წლამდე ჭაბუკთა შორის მე-4 ადგილი დაიკავა **გეგა გაბრიჭიძემ** (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა). მწვრთნელი ეროვნული ოსტატობის კანდიდატი **მერი ჩაფიჩაძე**. ორივე მოჭადრაკემ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური, რომელიც გაიმართება 5-14 მაისს ქ. ბათუმში.

5-11 აპრილი იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში უთანრიგო, მე-5, მე-4 და მე-3 თანრიგოსან ჭაბუკთა და გოგონათა შორის ქ. ქუთაისი. 2025 წელი.

ტურნირზე მონაწილეობას იღებდა იმერეთის რეგიონის 300-მდე მოჭადრაკე, მათ შორის თერჯოლის სპორტული სკოლის ჭადრაკის წრის 20 მოსწავლე სხვადასხვა კატეგორიაში (მწვრთნელი მერი ჩაფიჩაძე). მათ წარმატებით იასპარეზეს. მე-3 თანრიგოსან ჭაბუკთა შორის მე-2 საპრიზო ადგილი და მე-2 თანრიგი მოიპოვა **ტარიელ ჩიტიძემ** (ახალთერჯოლის საჯარო სკოლა), რომელიც დაჯილდოვდა, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის მიერ შესაბამისი ხარისხის დიპლომით და ვერცხლის მედლით, მან 7 შესაძლებლობიდან მოიპოვა 5 ½ ქულა, ტურნირი ჩაატარა წაგების გარეშე.

სპორტული საჭადრაკო თანრიგები მიენიჭათ შემდეგ მოჭადრაკეებს:

ლაზარე ქარქაშაძეს მე-5 თანრიგი (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

ანდრია რობაქიძეს მე-5 თანრიგი (ჩხარის №1 საჯარო სკოლა).

ანდრია აბესაძეს მე-5 თანრიგი (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

გვანცა მორალიშვილს მე-4 თანრიგი (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

ასევე თანრიგის ნორმატივები მოიპოვეს მოჭადრაკეებმა სხვადასხვა კატეგორიაში:

ნიკოლოზ კალანდარიშვილმა (კერძო სკოლა „მზეკაბანი“).

ნოდარ ქარქაშაძემ (ჩხარის №1 საჯარო სკოლა).

ლევან კირკიტაძემ (კერძო სკოლა „მზეკაბანი“).

ჯემალ ბუსკივაძემ (ღვანკითის საჯარო სკოლა).

ბარბარე მაკარიძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

მართა კუტალაძემ (თერჯოლის №2 საჯარო სკოლა).

6 წლამდე ჭაბუკებში წარმატებით გამოვიდა და 7 შესაძლებლობიდან 3 მოგება იზეიმა თერჯოლელ მოსწავლეთა შორის ყველაზე პატარა მოჭადრაკემ, ბაღის მოსწავლემ **იოანე მემანიშვილმა,** რომელიც არის 5 წლის.

გამარჯვებული მოჭადრაკეები დააჯილდოვა იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, პარლამენტის წევრმა ზაზა ლომინაძემ.

ეს ჩვენი ისტორიაა

1☞

გოგნი—სალოცავების სოფელი

გოგნი ისტორიული სოფელია იმერეთში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში. წყაროებში პირველად 1187 წელსაა მოხსენიებული თამარ მეფის გელათისადმი შეწირულობის სიგელში, რომელშიც გოგნის ციხე და ციხისთავი ჩანს (ქართული ... 1984: 79). მდებარეობს იმერეთ-არგვეთის სერზე, მდინარე ქვერუნის ხეობაში, ზღვის დონიდან 500 მეტრზე, თერჯოლიდან 12 კმ-ის დაშორებით. სოფელში, რომელიც ქართულ ქრისტიანულ სამყაროში ცნობილია სასწაულმოქმედი გოგნის წმ. გიორგის („კარუგდებელის“) სალოცავით, სხვა ისტორიული ძეგლებიცაა, მათ შორის მონასტრის ნაშთები, იგი ზოგ დოკუმენტში გოგნის უდაბნოს სახელით მოიხსენიება.

ამ მონასტრის ისტორიაში, რომელიც ფაქტობრივად დღემდე შეუსწავლელია, შეიძლება პირობითად სამი ეტაპი გამოვყოთ: **პირველი** დაარსებიდან, ანუ 1778 წლიდან დროებით გაუქმებამდე - ოფიციალურად 1837 წლამდე, ფაქტობრივად 1839 წლამდე, **მეორე** 1842 წლიდან 1852 წლამდე - პირველი განახლების პერიოდი და **მესამე,** მეორე განახლების პერიოდი - 1855 წლიდან საბოლოო გაუქმებამდე - 1861 წლამდე.

გოგნის მონასტრის დაარსება უკავშირდება იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მეუღლეს - მარიამ დედოფალს.

1778 წლის 1 თებერვლით დათარიღებულ მარიამ დედოფლის შეწირულობის წიგნში, როგორც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სარეგისტრაციო ჩანაწერიდან ჩანს, მან თავისი მეუღლის, მეფე სოლომონ პირველის ნებართვითა და თანხმობით კათალიკოსისა და მღვდელთმთავართა „ადგილი გოგნისა შექმნა მონასტრად და აღაშენა ეკლესია ქვითკირისა სახელსა ზედა ყ˜დ წ˜ის მიძინებისა, და დაადგინა მას ზედა წინამძღვარი და ძმები და გამოსაზრდელად მათდა შესწირა ამ მონასტერსა ყმანი და მამულნი“ (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.3101 ფ.107).

საბუთის შინაარსს უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ, მანამდე კი აღვნიშნავთ - მასში მოთხრობილი ამბები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბუთის შედგენისას - 1778 წლის 1 თებერვლისთვის -მონასტერი უკვე მოქმედია და ეკლესიაც ნაკურთხია, ანუ ამ დოკუმენტით არსებული ფაქტი ოფიციალურად გაფორმდა, რასაც წინ, სავარაუდოდ, სააღმშენებლო (მოსამზადებელი) რამდენიმე წელი უძღოდა.

გოგნის მონასტრის ისტორიის შესასწავლად ამ სიგელთან ერთად მნიშვნელოვანია სხვადასხვა პერიოდის კიდევ 10 სიგელ-გუჯარი, რომლებიც გოგნის მონასტერს ეკუთვნოდა და 1845 წლის მდგომარეობით ზემოთ ნახსენებ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის რეესტრშია შეტანილი, მათი ნაწილი ჩვენამდე მხოლოდ ამ სახით არის მოღწეული. (დაწვრილებით აღნიშნულ სიგელ-გუჯარები და წერილის სრული ტექსტი იხილეთ პირველი გვერდის შესავალში მითითებულ ინტერნეტ მისამართზე).

დოკუმენტებში, რომლებიც მოიცავს 1778 წლის 1 თებერვლიდან - მონასტრის დაარსებიდან 1818 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს, ძირითადად გოგნის მონასტრისთვის მამულებისა და ყმების შეწირულობაზეა საუბარი, რაც მონასტრის საერთო ქონებრივი მდგომარეობის აღდგენის საშუალებას იძლევა, ისევე როგორც შემდგომი პერიოდის დოკუმენტები მონასტრის ზოგადი ისტორიის აღწერისას. ამის შემდგომი პერიოდის დოკუმენტებიც საკმაოდაა დაცული, რაც საშუალებას გვაძლევს ზოგად ხაზებში აღვადგინოთ მონასტრის ისტორია მონასტრის თითოეული წინამძღვრის მოღვაწეობის ფონზე. აღვნიშნავთ, რომ წინამძღვართა ქრონოლოგიური რიგი ჩვენი კვლევით ასეთია:

1778-1780-იანი წლები - დანიელი (მაჭავარიანი - ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტებში უკანასკნელად იხსენიება 1782 წლის მაისში - ს.ც.ა. ფ.1448 ან. 1 ს.1057).

1780-იანი წლები - 1814 წელი - იღუმენი მოსე (მხეიძე - ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტებში პირველად იხსენიება 1789 წლის იანვარში - ს.ც.ა. ფ.1448 ან. 1 ს.2258).

1814-19.02.1831 წწ. - იღუმენი იოანე (მხეიძე).

3.05.1831 - 6.12.1838 წწ. - მღვდელ-მონაზონი იოსები (ბაქრაძე).

1838-1856 წწ. - წინამძღვარი არ დასტურდება.

10.05.1856 - 7.02.1862 წწ. - მღვდელ-მონაზონი ანტონი (ჯიხვაშვილი).

დოკუმენტებით დასტურდება, რომ გოგნის მონასტრის პირველი წინამძღვარი გახლდათ დანიელ მაჭავარიანი, 1778 წლიდან 1780-იანი წლების შუა პერიოდამდე (ს.ც.ა. ფ.1448, ს.1057).

XIX საუკუნის 20-იანი წლების გოგნის მონასტრის (უდაბნო) შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული 1826 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში „საქართველოს ეკლესიის იერარქია“, რომელშიც აღნიშნულია, რომ გოგნის უდაბნო გელათის მონასტერზეა მიწერილი (ე.ი. იმ დროსაც, 1825 წელს, გელათის მონასტერს ექვემდებარებოდა, როგორც ჩანს გათვალისწინებული იყო გელათის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ნიკოლოზის 1821 წლის 1 იანვრით დათარიღებული თხოვნა საქართველოს ეგზარქოსის, მიტროპოლიტ თეოფილაქტესადმი გოგნის უდაბნოს გელათის მონასტრისადმი მიწერაზე - მ.კ. (ს.ც.ა. ფ. 489 ან. 1 ს. 2018 ფ. 431. ფ. 488 ან. 1 ს. 357 ფ. 109)). უდაბნოს ტერიტორია გალავნით იყო შემოზღუდული, რომელშიც 2 (?!) ქვითკირის ეკლესია იდგა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე, ასევე წინამძღვრის ხის სახლი და ხის 7 სენაკი ბერებისთვის. იმ დროს უდაბნოში ცხოვრობდა წინამძღვარი იოანე, 3 მღვდელ-მონაზონი და 1 ბერ-დიაკონი. უდაბნო ნივთ-სამკაულით ღარიბი იყო, თუმცა საკმაო რაოდენობით ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა და ტყის ნაკვეთი (История ... 1826: 56).

1857 წელს მონასტრის ყმათა რიცხვი 67 კომლს შეადგენდა არსენიძეების, შარვაძეების, ბეშკენაძეების, წიქრიძეების, კუპატაძეების, ტოფაძეების, გელაძეების, ცირეკიძეების, რიჟამაძეების, ქათამაძეების, ისაკაძეების, ჯიშიაშვილებისა და რობაქიძეების გვარიდან. ისინი ერთ-ერთ წერილში იმერეთის ეპისკოპოს გერმანეს სთხოვდნენ, რომ არ განხილულიყო ახლად განახლებული გოგნის მონასტრის გაუქმების საკითხი, რაზეც შესაბამისი დასაბუთებული მსჯელობაც აქვთ მონასტრის ისტორიის ფონზე, კერძოდ, აღნიშნავენ, რომ გელათის მონასტრის ყოფილ წინამძღვრებს, არქიმანდრიტებს - ნიკოლოზსა და სიმონს - მოუხერხებიათ და გოგნის მონასტერი მიუწერიათ თავისი მდიდარი ადგილ-მამულიანად და ჩინებული საეკლესიო ნივთ-სამკაულით გელათის მონასტრისთვის. სულ მალე კი საერთოდ გაუუქმებიათ.

იმერეთის ეპარქიის დროებით მმართველ ეპისკოპოს ნიკიფორეს დროს მონასტერი განუახლებიათ და მასში კრებულიც დაუყენებიათ, მაგრამ სულ მალე ისევ გაუქმებულა. შემდეგ ეპისკოპოს ექვთიმეს განუახლებია, რისთვისაც გელათის მონასტრიდან მღვდელ-მონაზონი ანტონი საკუთარი ხელფასით გადაუყვანია, რომელსაც იქ ბევრი უღვაწია, რის შედეგადაც იქ მყოფ ძმებს შეეძლოთ შედარებით თავისუფალი და უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდათ, მაგრამ შემდგომ მისთვის ხელფასი გაუუქმებიათ, რასაც, სავარაუდოდ, მონასტრის გაუქმებაც მოჰყვებოდა. სთხოვენ ეპისკოპოსს, რომ ეს არ მოხდეს და აღუთქვამენ, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარდნენ კრებულის შესანახად (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.6470 ფ.4-5).

გოგნის უდაბნოს კუთვნილ გლეხთა თხოვნას - კერძოდ, აღედგინათ გოგნის მონასტერი შტატების დაწესებით - საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ უარით უპასუხა, რის მიზეზადაც მონაზონთა სიმცირე და შესაბამისად, ადგილობრივი ეპარქიის ხელმძღვანელთა სწორი კურსი დაასახელა მონასტრების შემცირებაზე (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.6470 ფ.14). მართალია, მონასტერში შტატები არ დაუდგენიათ, მაგრამ იქ 1859 წელს მღვიმის უდაბნოდან გადმოიყვანეს მღვდელ-მონაზონი არსენი (ჯიბლაძე) (ქ.ც.ა. ფ.21 ან.1 ს.7016 ფ.2), რომელმაც მონასტერში ცოტა ხანს იღვაწა.

1861 წელს გოგნის მონასტერი საბოლოოდ გაუქმდა და მისი ქონება და ნივთ-სამკაული ისევ გელათის მონასტერში გადაიტანეს დასაცავად. ამ გაუქმების შედეგად მონასტრის ნაგებობები, რომლებიც სოფლისგან დაშორებით მდებარეობდა, ფაქტობრივად უყურადღებოდ დარჩა, რამაც რამდენიმე წელიწადში მათი დანგრევა განაპირობა.



ამ პროცესს იმანაც შეუწყო ხელი, რომ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა „გოგნის უდაბნოს გაციებული ეკლესიის“ მეორად სამშენებლო მასალად გამოყენების ნება მისცა 1874 წელს სოფელ გოგნის მრევლს, რომელიც ახალ ეკლესიას აგებდა (ქ.ც.ა. ფ.21 ან 1. ს.12771 ფ.49). მონასტრის შენობების ნაშთები დღემდეა მოღწეული.

გოგნის მონასტერს, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა (1778-1861 წ.წ.) და რამდენჯერმე დახურვა-განახლებისა, თავისი მოკრძალებული ადგილი უჭირავს საქართველოს ეკლესიის სამონასტრო ცხოვრებაში.

P.S. ვრცელი მეცნიერული წერილიდან, რომელიც ბატონმა მერაბ კეზევაძემ მოგვაწოდა, მისივე ნებართვით თქვენთვის მხოლოდ ეს მცირე ნაწილი წარმოვადგინეთ, თუმც საკმარისი იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ გოგნის უდაბნოს მონასტერის მნიშვნელობაში.



შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55

მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:

ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:

„ლიბერთი ბანკი“

LBRTGE22,

ანგარიში

GE32LB0113133960124000

ს/კ 231948872